ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №209

თბილისი **08 მაისი, 2023 წელი**

ერთის მხრივ - **სსიპ - საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება** (შემდგომში - შემსყიდველი), დირექტორის **კონსტანტინე ქარქაშაძის** სახით და მეორეს მხრივ - **შპს „ორგსერვისი“** (შემდგომში - მიმწოდებელი), დირექტორის **ხვიჩა ნემსაძის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 24.01.2012წ №99 განკარგულების, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ ამ ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი, შესყიდვის ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია - სტრუქტურული ერთეულის - თბილისის თოჯინების თეატრის სადეკორაციო საამქროსთვის, სხვადასხვა დასახელების **საკანცელარიო მასალების** სახელმწიფო შესყიდვა, საკუთარი შემოსავლების სახსრებით.

1.2. შესყიდვის ობიექტი

დასახელება	განზ.	რაოდ.	ერთეულის ფასი - ლარი	ჯამური ფასი ლარი	CPV-კოდი
საკანცელარიო დანის პირი AXENT/DELTA 9მმ. D6523	ცალი	3.00	1.00	3.00	39241100 - დანები
დანა საკანცელარიო XD-602 6972889776021	ცალი	3.00	1.50	4.50	
დაფა საჭრელი AXENT 7902-A A3 (მასშტაბური) თვითაღმდგენი	ცალი	1.00	15.40	15.40	39292100 - დაფები
საღებავი აკრილის ROSA Studio 323200403 black 200მლ	ცალი	1.00	12.40	12.40	44812000 - სამხატვრო საღებავები
საღებავი აკრილის ROSA studio 323200401 Titanium White 200მლ	ცალი	1.00	12.40	12.40	
საღებავი აკრილის ROSA Studio 32241414 Light Green 75მლ	ცალი	1.00	7.20	7.20	
საღებავი აკრილის ROSA Studio 32241423 Sienna 75მლ	ცალი	1.00	7.50	7.50	
საღებავი აკრილის ROSA Studio 32241424 Burnt Sienna 75მლ	ცალი	1.00	7.20	7.20	
საღებავი აკრილის ROSA Studio 32241407 Orange 75მლ	ცალი	1.00	7.50	7.50	
საღებავი აკრილის ROSA Studio 32241415 Green 75მლ	ცალი	1.00	7.20	7.20	
საღებავი აკრილის ROSA Studio 32241405 Red 75მლ	ცალი	1.00	7.50	7.50	
საღებავი აკრილის ROSA Studio 32241433 Yellow Medium 75მლ	ცალი	1.00	7.20	7.20	
			სულ	*99,00*	

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **99,00** (ოთხმოცდაცხრამეტი) **ლარს**, სახელშეკრულებო ხარჯებისა და ყველა გადასახადის ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მოწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას შემსყიდველი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2. საქონლის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ადგილსამყოფელი, ხოლო მიწოდების თარიღი - ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღე.

4.3. მიმწოდებელი გადასცემს შემსყიდველს უფლებრივ-ნივთობრივად უნაკლო საქონელს.

4.4. საქონლის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარმოდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ელექტრონული ხელმოწერით.

5.2. მიმწოდებლის შერჩევაზე, ხელშეკრულების ინსპექტირებაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირია თეატრის სამეურნეო ნაწილის გამგე **ზაზა ჩხიკვაძე**, რომელიც არ იმყოფება მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1. მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

6.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებიდან და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს საქონლის ხარისხის შესაბამისობა სახელშეკრულებო პირობებთან.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულების მოშლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მიადგა მეორე მხარის სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულების მოშლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,02%-ს.

8.6. იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება მოქმედია ორმხრივ ელექტრონულ ხელმოწერიდან **2023 წლის 30 ივნისამდე**.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზებს.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორმხრივ ელექტრონულად ხელმოწერილი სახით. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ელექტრონულად ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი“

სსიპ - საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება
ს/ნ 202492668
თბილისი, აღმაშენებლის გამზ.№136
ტელ: 2 95-28-20

მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი - TRESGE22
ანგ.№ 709867499

*დირექტორი - **კონსტანტინე ქარქაშაძე***

„მიმწოდებელი“

შპს „ორგსერვისი“
ს/ნ 212693851
იურ. მის: ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ.№51/2ა
ფაქტ.: თბილისი, აღმაშენებლის გამზ.№86/90
ტელ.: 2 04-11-00, ელ-ფოსტა info@orgservice.ge

ს/ს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი - TBCBGE22
ანგ.№ GE32TB0300000030467356
*დირექტორი - **ხვიჩა ნემსაძე***

Konstantine Karkashadze 41001001725
Digitally signed by Konstantine Karkashadze
Date: 2023.05.08 15:15:01

LTD Orgservice
Digitally signed by LTD Orgservice
Date: 2023.05.08 17:28:42 +04'00'